№1770 2015 წლის 25 აგვისტო ქ. თბილისი

სარეკრეაციო ტერიტორიებზე, სასოფლო-სამეურნეო ზონაში (სოფზ') სამშენებლოდ და სამონტაჟოდ დასაშვები ნაგებობების ჩამონათვალის დამტკიცების თაობაზე

„ტექნიკური რეგლამენტის – დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №59 დადგენილებით დამტკიცებული დებულებების მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, დამტკიცდეს თანდართული ნაგებობების ჩამონათვალი, რომელთა მშენებლობა და მონტაჟი დასაშვებია სარეკრეაციო ტერიტორიებზე, სასოფლო-სამეურნეო ზონაში (სოფზ') (გარდა სასოფლო-სამეურნეო ზონის ფუნქციონირებისათვის უზრუნველმყოფი დამხმარე შენობა-ნაგებობებისა).

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**

საქართველოს მთავრობის
2015 წლის 25 აგვისტოს
№1770 განკარგულების
დანართი

ა) წყლის ხელოვნური რეზერვუარი, შესაბამისი ინფრასტრუქტურით;

ბ) საბაგირო, შესაბამისი ინფრასტრუქტურით;

გ) სამთო ციგა, შესაბამისი ინფრასტრუქტურით;

დ) ანგარის შენობა, შესაბამისი ინფრასტრუქტურით;

ე) სერვისცენტრები და დამხმარე ნაგებობები, შესაბამისი ინფრასტრუქტურით;

ვ) საბავშვო მოედნებისა და გასართობი სკვერების მოწყობა, შესაბამისი ინფრასტრუქტურით;

ზ) ენერგეტიკული ინფრასტრუქტურა;

თ) ხელოვნური გათოვლიანების სისტემა, შესაბამისი ინფრასტრუქტურით;

ი) სათხილამურო ტრასების განათების სისტემა, შესაბამისი ინფრასტრუქტურით;

კ) სათხილამურო ტრასების მშენებლობა, შესაბამისი ინფრასტრუქტურით;

ლ) ველობილიკების მშენებლობა, შესაბამისი ინფრასტრუქტურით;

მ) ველოპარკების მშენებლობა, შესაბამისი ინფრასტრუქტურით.